საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეხვის ციხე

კეხვის ციხე, თავდაცვითი ნაგებობა. მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. კეხვთან. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში, როცა ქვეყანაში გაბატონებულ ოსმალებს აუჯანყდა მეფე სიმონ I და ოსმალოფილი ვახტანგ მუხრანბატონი კ. ც-ში ჩასვა. 1625 გ. სააკაძემ სპარსელებთან ბრძოლის წინ კ. ც. გაამაგრა. 1745 ციხე აიღო მეფე თეიმურაზ II-მ და დააპატიმრა აქ გამაგრებული სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეოდალის, გივი ამილახვრის მომხრენი. XVIII ს. ბოლომდე კ. ც. არაერთგზის იყო ლეკი ფეოდალების თავდასხმების ობიექტი.

ციხე აღმართულია მაღალი მთის წვერზე. იგი არ არის ერთი დროის ნაგებობა და სხვადასხვა პერიოდის სულ მცირე ოთხ სამშენებლო ფენას შეიცავს. თავდაპირველად აქ იდგა კოშკი, რ-ისთვისაც მომდევნო ხანებში სამხრიდან გალავანი მიუშენებიათ. შემდეგ ეს გალავანი დანგრეულა და ახალი გალავანი აუგიათ, რ-შიც ძველი გალავნის შემორჩენილი ნაწილები გამოუყენებიათ. უფრო გვიან, ციხის ოდნავ ქვემოთ, აუგიათ მოზრდილი, კოშკიანი გალავანი, რ-იც ციხეს სამხრ-იდან ეკვრის. არც ერთი ეს ფენა არაა დათარიღებული. ციხეს ჰქონდა დიდი ტევადობის წყალსაცავი. შესასვლელი დას. მხრიდან აქვს. მოგვიანებით მასზე გარედან კოშკი მიუშენებიათ.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1982, [ტ.] 6; მ ი ს ი ვ ე, ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ., 2002; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980; М е п и с а ш в и л и Р., Ц и н ц а д з е В., Архитектура нагорной части исторической провинции

Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

ჯ. გვასალია

შ. საღარაძე